

**უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის
დაზღვევის პირობები**

წინამდებარე პირობები, განაცხადთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას. წინამდებარე პირობებში განმარტებული, ქვემოთ მითითებული ტერმინები გამოიყენება წინამდებარე პირობებსა და/ან შესაბამის სადაზღვევო პოლისში და მათ ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

№	დასახელება	უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები
1	ხელშეკრულების მხარეები	მზღვეველი: სს „სადაზღვევო კომპანია უნიონი“ (ს/ნ 404393152) დამზღვევი: იურიდიული პირი (რომელმაც დადო წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან და რომელსაც ეკისრება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება)
2	ხელშეკრულების საგანი	წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, მზღვეველის ვალდებულება, ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი, წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესის და ოდენობის შესაბამისად.
3	ტერმინთა განმარტება	3.1. „დაზღვეული“ - ფიზიკური პირი; დამზღვევის თანამშრომელი რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. 3.1.1. „თანამშრომელი“/დასაქმებული - დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი; რომელიც განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისში ან/ და შესაბამის დანართში. 3.1.2. მოსარგებლე - სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ფიზიკური პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება; 3.1.3. „სადაზღვევო შემთხვევა“ - წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევა რომლის დადგომისას მზღვეველს წარმოეშება ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება; 3.1.4. „უბედური შემთხვევა“ - უეცარი, გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც გამოწვეულია დაზღვეულის ნებისგან დამოუკიდებლად თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით და რომლის შედეგია დაზღვეულის გარდაცვალება, მისი შრომისუნარის დროებითი ან მუდმივი შეზღუდვა; 3.1.5. „გარდაცვალება (ლეტალური შედეგი)“ - ადამიანის ტვინის ფუნქციონირების შეუქცევადი შეწყვეტა; 3.1.6. „საერთო (სრული) სადაზღვევო პერიოდი“ - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა ძალაშია; 3.1.7. „ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი“ - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც სადაზღვევო დაფარვა ძალაშია კონკრეტული დაზღვეულის მიმართ; 3.1.8. „ლიმიტი“ - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა 3.1.9. „ქველიმიტი“ - ლიმიტის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული მომსახურების ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას; ამასთან დაზღვეულის დროებითი შრომის უუნარობისას, ლიმიტი განისაზღვრება - დაზღვეულის ერთი თვის ხელფასის ოდენობით, დაზღვეულზე პოლისით განსაზღვრული ქველიმიტის

		ფარგლებში, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ანაზღაურებადი დღეების ზემოთ გაცდენილ დღეებზე გადაანგარიშებით. 3.1.10. „სადაზღვევო დაფარვის არეალი“ - დაზღვევის მოქმედების გეოგრაფიული არეალი. წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. 3.1.11. „საანგარიშო თვე“ - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ყოველთვიურად ათვლილი თვე. 3.1.12. „საანგარიშო დღე“ - საანგარიშო თვის ბოლო კალენდარული დღე.
4	დაზღვევის საგანი	უზედური შემთხვევისაგან უზედური შემთხვევისაგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა
5	სადაზღვევო დაფარვები	5.1. წინამდებარე პირობების ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევა რომელიც გამოწვეულია პოლისის მოქმედების პერიოდში მომხდარი უზედური შემთხვევით, წინამდებარე დაზღვევის პირობები ფარავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უზედური შემთხვევისაგან სავალდებულო დაზღვევის („შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანება) მოთხოვნას. 5.2. წინამდებარე პირობებით დაფარულია, სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი უზედური შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება. სამუშაო სივრცეში უზედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად: ა) მსუბუქი უზედური შემთხვევა – უზედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა; ბ) საშუალო სიმძიმის უზედური შემთხვევა – უზედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე; გ) მძიმე უზედური შემთხვევა – უზედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარიანობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარიანობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით; დ) ფატალური უზედური შემთხვევა – უზედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე; ე) მასობრივი უზედური შემთხვევა – უზედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უზედური შემთხვევა ან 1 ფატალური უზედური შემთხვევა. 5.3. უზედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალების და ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზით, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში, კომპენსაციის სახით ანაზღაურდება ჰოსპიტალში გატარებული დღეების რაოდენობა გამრავლებული სამუშაო დღიური ხელფასის ოდენობაზე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა, მზღვეველის მიერ პოლისით დადგენილი ქველიმიტის ფარგლებში 5.4. შრომისუნარის მუდმივი დაკარგვისას/ შეზღუდვისას ანაზღაურებას ექვემდებარება: 5.4.1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – მზღვეველის მიერ პოლისით დადგენილი ქველიმიტის ფარგლებში, ლიმიტის 100%, 5.4.2. მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – მზღვეველის მიერ პოლისით დადგენილი ქველიმიტის ფარგლებში, ლიმიტის 75%, 5.4.3. ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – მზღვეველის მიერ პოლისით დადგენილი ქველიმიტის ფარგლებში, ლიმიტის 50%.

6	დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება	6.1. დაზღვევის ხელშეკრულების დადება შესაძლებელია განხორციელდეს მზღვეველსა და დამზღვევს შორის მატერიალურად, ან დისტანციურად მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით; 6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ან/ და სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ხელმოწერა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შესაბამის ბმულზე დადასტურების გზით, მათ შორის, პლატფორმის Signify (https://signifyapp.com/ka-GE/) მეშვეობით. აღნიშნული წესით გაფორმებულ ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელმოწერას ქაღალდის მატარებელზე ხელით შესრულების შემთხვევაში; 6.3. მზღვეველის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ბეჭდით დამოწმებული და გაცემული სადაზღვევო პოლისი ორიგინალის ტოლფასია, ასევე დამზღვევის მიერ მზღვეველთან ელექტრონული კომუნიკაციით განხორციელებული თანხმობა დაზღვევის პირობებზე დამზღვევის ხელმოწერის ტოლფასია. სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მოხდეს მატერიალურად წერილობითი ფორმით, ამასთანავე მზღვეველის unison.ge-თ დასრულებულ ნებისმიერ კორპორატიულ მეილზე - დასტური ხელმოწერის ტოლფასია.
7	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის აუცილებელი წინაპირობები	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელია დაცული იყოს შემთხვევის თაობაზე, ინფორმაციის / დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგი წესი და ვადები: 7.1. შემთხვევის მოხდენისთანავე დაუყოვნებლივ დატოვოს შეტყობინება მზღვეველის ცხელ ხაზზე - 032 2 991 991. 7.2. დამზღვევი/ დაზღვეული ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი ვალდებულია, დაუკავშირდეს მზღვეველის ქოლ ცენტრს არაუმეტეს 48 საათის განმავლობაში შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ. 7.3. დაზღვეულის ქმედუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის შემთხვევაში მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, დაზღვეულზე; მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე ან მის ოფიციალური მეურვეზე, ქმედითუნარიანობის შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტის, წარმომადგენლის/მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, წარმომადგენლობის უფლების მინიჭების/მეურვეობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
8	გამონაკლისები	სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა შემდეგ შემთხვევებში: 8.1. უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალება ან ჯანმრთელობის დაზიანება, თუ აღნიშნული გამოწვეულია, საწარმოო ტრავმით, რა დროსაც არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები; 8.2. თუ უბედური შემთხვევა დადგება, წარმოების ობიექტს გარეთ. 8.3. თუ უბედური შემთხვევა დადგება, არა საწარმოო (არა სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულების დროს; 8.4. თუ შემთხვევა დადგა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საათების მიღმა; 8.5. თუ შემთხვევა დადგა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას; 8.6. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეული იქნება დაზღვეულის მხრიდან, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული

		ვალდებულებების შეუსრულებლობით; 8.7. უცხოელი აგრესორის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების, მიუხედავად ომის გამოცხადების თუ გამოუცხადებლობისა, სამოქალაქო ომი, აჯანყება, ბუნტი, რევოლუცია, სახალხო მღელვარება, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენება, ტერორისტული აქტები; 8.8. შეიარაღებულ ფორმირებებში, საბრძოლო მოქმედებებში, ან დაზღვეულის მიერ ნებისმიერი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ან ამგვარი ქმედების პროცესში, ჩართვით დამდგარი შემთხვევა, ნებისმიერი სახით მონაწილეობისას გარდაცვალება; 8.9. დაზღვეულის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება ; 8.10. ნარკოტიკული / ფსიქოტრიპული/ ალკოჰოლური/ ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა; 8.11. დაზღვეულის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ან სხეულის დაზიანება, რომელშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბრალი მიუძღვის დამზღვევს და/ან მოსარგებლეს; 8.12. დაზღვეულის მიერ ნებაყოფლობით და გაუმართლებლად არასაჭირო რისკის (ხიფათის) საკუთარ თავზე აღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედება განხორციელებულია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. 8.13. დაზღვეულის ფსიქიკური დაავადება (დროებითი ან მუდმივი) 8.14. მზღვეველისთვის მოწოდებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არ შეესაბამება სიმართლეს/არასწორი/ არაზუსტი/ყალბი შეცდომაში შემყვანია; 8.15. შემთხვევა არ არის დამდგარი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში; 8.16. არ იქნება გადახდილი პოლისით დადგენილი სადაზღვევო პრემია; 8.17. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტი არის ამოწურული; 8.1.8. წინამდებარე პირობებისა ანდ/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევები.
9	სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი	9.1. უბედური შემთხვევის დადგომისას წარმოდგენილ უნდა იქნას: 9.1.1. შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის განმავლობაში წერილობითი ფორმით განცხადება. 9.1.2. დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 9.1.3. სადაზღვევო პოლისი; 9.1.4. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის (გარდაცვალების ფაქტი) შესახებ; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები) (სიცოცხლის დაზღვევის და რეპატრაციის შემთხვევაში); 9.1.5. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ; 9.1.6. ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი); 9.1.7. შესაბამისი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, კომპეტენტური ორგანოს დასკვნა შრომისუნარის მუდმივად დაკარგვის, ან ინვალიდობის თაობაზე (გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო).

		9.1.8. სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები, დაზღვეულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის თაობაზე; 9.1.9. ცნობა მტკიცებულებების თაობაზე, რომელიც გამორიცხავს დაზღვეულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ, ტოქსიკური და ან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნას, შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, შესაბამისი შემოწმებების ცნობის წარმოდგენის გზით. 9.1.10. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, შინაგანაწესი (უფლება - მოვალეობების განმარტებით). 9.1.11. 1 წლის ხელფასის ამონაწერი (ან შესაბამისი დოკუმენტი). 9.1.12. საავადმყოფო ფურცელი (ბიულეტენი). 9.1.13. საქართველოს კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-11 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის ინსპექციის მიერ გაცემული/დადასტურებული) 9.2. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტებია: 9.2.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით გაცემული დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა, ცნობაში მითითებულ უნდა იყოს: გარდაცვალების თარიღი, ადგილი, ასაკი და სხვა ინფორმაცია. 9.2.2. ზედამხედველი ორგანოს ან სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი); 9.2.3. ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების უტყუარი (კონკრეტული) მიზეზის შესახებ; 9.2.4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა 9.2.5. თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - საქმის მასალები. 9.2.6. მოსარგებლის - მემკვიდრის სამკვიდრო მოწმობა (მამკვიდრების სამკვიდროში წილის მითითებით) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი 9.2.7. ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია, დანიშნოს ექსპერტიზა და შეასრულოს სხვა მოქმედება.
10	მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები	10.1. მზღვეველი ვალდებულია: 10.1.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებითა და ამ ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; 10.1.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. 10.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად. 10.3. მზღვეველი უფლებამოსილია: 10.2.1. მოთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;

	10.2.2. მოთხოვოს დამზღვევს ამ პირობებით დაზღვეულთა საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად; 10.2.3. მოსთხოვოს დამზღვევს, გადაიხადოს პრემია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში; 10.2.4. მოსთხოვოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფორმაციის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით; 10.2.5. გამოითხოვოს დამზღვევისგან/დაზღვეულისგან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და შემდგომი მომსახურების მიღებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია, 10.2.6. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში; 10.2.7. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ვადებში და ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში 10.2.8. დამზღვევისაგან გამოითხოვოს შემთხვევის დარეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია / დამატებითი დოკუმენტაცია 10.2.9. მოიძიოს საჭირო დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებისა და დაზღვეულის იდენტიფიცირებისათვის სხვა ორგანიზაციებიდან. 10.2.10. წარმომადგენლის მეშვეობით საკუთარი შეხედულებით ჩაუტაროს გამოკვლევა დაზღვეულს და გაეცნოს მისი ავადმყოფობის ისტორიას. შეამოწმოს სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების მოცულობა, გაწეული ხარჯები და /ან გამოითხოვოს და გადაამოწმოს დაზღვეულისთვის გაცემული დანიშნულება; 10.2.11. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაყალბების ან გაყალბების მცდელობის გამოვლენის შემთხვევაში, დამზღვევს დააკისროს თითოეული ასეთი შემთხვევის გამოვლენისას 5,000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა, ხოლო ყოველ შემდგომ ჯერზე ასეთი გამოვლენისას - 10,000 (ათი ათასი) ლარის გადახდა. ამასთან, ასეთი შემთხვევების დაფიქსირებისას, მზღვეველი უფლებამოსილია, ცალმხრივი წესით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება; 10.2.12. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, მოითხოვოს ანაზღაურებული ზარალის უკან დაბრუნება. 10.2.13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ დამზღვევმა რაიმე სახით მოახდინა გარეშე პირის (ანუ მასთან შრომით ურთიერთობაში არმყოფი პირების) დაზღვევა, რაც დასტურდება პირის დანიშვნის ბრძანებით/ხელშეკრულებით, მისთვის სამსახურობრივი სარგოს ჩარიცხვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით-საბანკო ამონაწერით და სხვა) ამ ხელშეკრულების პირობებით, მზღვეველი უფლებამოსილია, მოთხოვოს საჯარიმო სანქციის სახით 5,000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა ყოველ ასეთ შემთხვევაზე. ამასთან, ასეთ პირებთან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია, უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან, ყოველი ასეთი დაზღვევა ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან გაუქმებას. 10.2.14. დაზღვეულისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შემდეგ მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე.
--	---

	10.2.15. ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, ხოლო თუ დამზღვევი ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, მზღვეველი უფლებამოსილია 1 (ერთი) თვის ვადაში შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; 10.2.16. თუ პოლისზე გაცხადდება შემთხვევა რომლის სავარაუდო ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა აღემატებოდეს 20 000 (ოცი ათას ლარს) ნებისმიერ დროს უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, ხოლო თუ დამზღვევი ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, მზღვეველი უფლებამოსილია 1 (ერთი) თვის ვადაში შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და პირგასამტეხლოს სახით მოთხოვოს სრული სადაზღვევო პრემიის გადახდა; 10.2.17. გაზარდოს სადაზღვევო პრემია და/ან უცვლელად დატოვოს, თუმცა ხელშეკრულება მიუსადაგოს შეცვლილ გარემოებებს, რომლებიც წარმოიშვა, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში პრემიის დადგენის საფუძვლებში განხორციელებული რომელიმე კომპონენტის ცვლილების შემთხვევაში. ამასთან, მზღვეველის ამგვარი უფლებამოსილება წარმოიშვება მხოლოდ მას შემდეგ თუ ზემოაღნიშნული ცვლილება აუარესებს ფასწარმოქმნის (თავდაპირველი სადაზღვევო პრემია) დადგენის საფუძვლებს. თუ დამზღვევი ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, მზღვეველი უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი ვადის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება. 10.2.18. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის ნებისმიერი სახელმწიფო/რეფერალური პროგრამ(ებ)ის გაუქმების/ცვლილების შემთხვევაში, შეცვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ამის შესახებ დამზღვევს წერილობით ეცნობება ცვლილებების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე. 10.2.19. არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეული ან დამზღვევი თავისი მოქმედებით ხელს შეუშლის მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესრულებას. 10.2.20. გამოითხოვოს დამზღვევისგან/დაზღვეულისგან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და შემდგომი მომსახურების მიღებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია; 10.2.21. ორმაგი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში გაყოს სადაზღვევო შემთხვევის ხარჯები სხვა მზღვეველთან; 10.2.22. დამზღვევის/დაზღვეულის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების გამოვლენისას და არ აანაზღაუროს შემთხვევა და ან უკან მოითხოვოს ანაზღაურებული თანხა; 10.3. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია: 10.3.1. უზრუნველყოს პრემიის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში; 10.3.2. უზრუნველყოს მზღვეველისთვის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი და უტყუარი ინფორმაციის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით; 10.3.3. ახალი დაზღვეულის დამატება, ამოღების საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს მზღვეველს და მიაწოდოს დასამატებელი/შესაბამისი პირის შესახებ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო მონაცემი
--	---

	აცნობის მზღვეველს, შემთხვევის დადგომის თაობაზე, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში. ამასთანავე მხარეები ითვალისწინებენ, რომ დამზღვევის მხრიდან დაგვიანებული შეტყობინება კრიტიკულად აისახება მზღვეველის ინტერესებზე შემდეგი გარემოებების გამო: ➤ მტკიცებულებათა მოპოვება შეუძლებელი ხდება; ➤ მზღვეველს არ ეძლევა საშუალება ადგილზე შეაფასოს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა; ➤ იზღუდება კანონით/ხელშეკრულებით მზღვეველისთვის მინიჭებული სუბროგაციის უფლება ; ➤ მზღვეველს ერთმევა შესაძლებლობა დროულად მიიღოს ზომები ზარალის ოდენობის შესამცირებლად; ➤ ფერხდება ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების დროული იდენტიფიცირება; 10.3.2. გააცნოს დაზღვეულ პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობები და ის ვალდებულებები, რომელიც მათ აკისრიათ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად; 10.3.3. აცნობოს მზღვეველს დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების თაობაზე წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა სრული დაცვით; 10.3.4. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები. 10.3.5. განუმარტოს დაზღვეულებს რომ: 1) მომსახურების გაწევის მიზნით მზღვეველის მიერ დამუშავდება მათი პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. 2) დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის წარდგენილ დაზღვეულ პირთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და ელ ფოსტის მისამართებზე მზღვეველის მიერ განხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვადასხვა - მათ შორის პირდაპირი მარკეტინგთან და ასევე მათ მიერ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული, განსაკუთრებული მონაცემების შემცველი შეტყობინებების გაგზავნა. 10.3.6. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით დადგენილი ვალდებულებები და პირობები. 10.3.7. თუ დაზღვეულმა ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, დაზღვეული ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს, ამასთან მიუთითოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. 10.3.8. მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს უფლება და ხელი შეუწყოს, ზარალის ანაზღაურების შემდგომ, გადაამოწმდეს გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და იმ შემთხვევაში თუკი დადგინდა სამედიცინო მომსახურებაში ხარვეზი, რამაც გამოიწვია ზარალის გაზრდა, მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება. 10.3.9. თუ მზღვეველმა აღმოაჩინა, რომ დაზღვეულის მიერ მიღებული მომსახურება აჭარბებს კონკრეტული დაფარვის სადაზღვევო ლიმიტს, დაზღვეული ვალდებულია მზღვეველის მიერ ასეთის აღმოჩენიდან და მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს მზღვეველს სადაზღვევო ლიმიტის ზემოთ მიღებული სარგებელი.
--	---

		10.3.10. მოსთხოვოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე) გათვალისწინებული თანხმობის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. 10.4. დამზღვევი /დაზღვეული უფლებამოსილია: 10.4.1 მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; 10.4.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოითხოვოს დაზღვეულთა სიაში, ახალი პირების დამატება, (იგულისხმება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დამზღვევთან სამსახურში მიღებული ახალი თანამშრომელი); 10.4.3 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; 10.4.4 მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
11	სუბროგაციის წესი	11.1.თუ დამზღვევს/დაზღვეულს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზარალის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება გაცემულია, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაბრუნება
12	ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის (მოშლის) პირობები	12.1.დაზღვევის ვადა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული დღის 24 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დღის 24 საათზე. პოლისი ძალაში შედის პირველი და ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდის დღის 24 საათზე თუ სადაზღვევო პოლისით სხვა ვადა არ არის დადგენილი. 12.2.ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც დამზღვევის ასევე მზღვეველის ინიციატივით. 12.3.დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მიმართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ არის დაზღვევის გაუქმების საფუძველი; 12.4.მზღვეველის ინიციატივით დაზღვევა შეიძლება შეწყდეს პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე. 12.5.მზღვეველის ინიციატივით, ერთ თვიანი ვადის დაცვით, თუ პოლისზე გაცხადდება შემთხვევა რომლის სავარაუდო ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა აღემატებოდეს 20 000 (ოცი ათას ლარს) ნებისმიერ დროს უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, ხოლო თუ დამზღვევი ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, მზღვეველი უფლებამოსილია 1 (ერთი) თვის ვადაში შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; 12.6. მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად დაუყონებლივ შეწყვიტოს დაზღვევა თუ: დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში შეყვანა/მცდელობა; 12.7.სადაზღვევო პოლისის ვადაზე ადრე გაუქმება ხორციელდება მხოლოდ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ან/და ნებისმიერი

		დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში. დაზღვევის გაუქმება განხორციელდება მზღვეველის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
13	პირგასამტეხლო/ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები	13.1. ხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დამზღვევის მიერ გადასახდელი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების (მათ შორის სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ვალდებულების პირველივე დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების 0.1%-ის ოდენობით ვალდებულების სრულად შესრულებამდე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამზღვევს ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან. 13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დამზღვევის მიერ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს დამატებით დაარიცხოს გადასახდელი პრემია სრულად.
14	სადაზღვევო პრემია და გადახდის პირობები	14.1. სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორება შესაძლებელია, უნაღდო ანგარიშსწორებით, ერთჯერადად სრულად, ან მხარეთა შეთანხმებით გადახდის განვადების გზით. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდისას სადაზღვევო პრემიის პირველი გადახდა ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო მომდევნო გადახდები ხორციელდება პოლისით განსაზღვრული წესით. 14.2. წლიური პრემიის ოდენობის ცვლილება ხორციელდება დამზღვევის მიერ საანგარიშო რიცხვში დაზღვეულთა სიაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ხოლო თუ კი დამზღვევი მოითხოვს დაზღვევის ამოქმედებას ცვლილების შეტანისთანავე მაშინ ანგარიშსწორებისას (პრემიის გადახდა) არასრული თვე ჩაითვლება სრულად. 14.3. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით განვადებით ანგარიშსწორებისად არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვევის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ „დამზღვევი“/„დაზღვეული“ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში არ დაფარავს გრაფიკით გადასახდელ პრემიას, მაშინ, ამ ვადის გასვლის შემდგომ მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს სრული სადაზღვევო პრემიის გადახდა.
15	დავების გადაწყვეტის წესი	15.1. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
16	კომუნიკაცია მხარეთა შორის	16.1. მზღვეველის მიერ დამზღვევს (დაზღვეულს/ მოსარგებლეს) შეტყობინება მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით, ელფოსტის, ან საფოტო გზავნილის მეშვეობით, ან/და განაცხადში/სადაზღვევო პოლისში დამზღვევის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე, ადგილსამყოფელზე. ამასთან, მზღვეველი პასუხისმგებელი არაა, თუ მითითებული რეკვიზიტი არასწორია ან შეიცვალა და მას არ ეცნობა, რის გამოც

		შეტყობინება ვერ ან ან არადანიშნულებისამბრ გაიგზავნა. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გაგზავნის მომენტიდან; 16.2.იმ შემთხვევაში, მზღვევლის მიერ დამზღვევს შეტყობინება გაიგზავნა დაზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულისაგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ; 16.3.მზღვევლის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ბეჭდით დამოწმებული და გაცემული სადაზღვევო პოლისი ორიგინალის ტოლფასია, ასევე დამზღვევის მიერ მზღვეველთან ელექტრონული კომუნიკაციით განხორციელებული თანხმობა დაზღვევის პირობებზე დამზღვევის ხელმოწერის ტოლფასია. სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მოხდეს მატერიალურად წერილობითი ფორმით, ამასთანავე მზღვევლის unison.ge-თ დასრულებულ ნებისმიერ კორპორატიულ მეილზე - დასტური ხელმოწერის ტოლფასია.
17	პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	17.1.მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) დამუშავება უზრუნველყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. 17.2.დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაოს დამზღვევის/დაზღვეულის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მოცულობით, ხელშეკრულების მიზნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს მესამე პირებს. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია დაამუშაოს დამზღვევის/დაზღვეულის პერსონალური მონაცემები მარკეტინგული მიზნებისათვის, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის. 17.3.მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის, დაზღვეულის მხრიდან დამატებითი თანხმობის გარეშე, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს და მიიღოს მათზე ინფორმაცია, შემთხვევებთან დაკავშირებული საქმის შესახებ - დაზღვევის მიზნებისთვის საჭირო ოდენობითა და მოცულობით. 17.4.მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მზღვეველისაგან მის შესახებ მონაცემთა გამოყენების შეწყვეტა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება აღნიშნული კომუნიკაცია - წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.
18	დასკვნითი დებულებები	18.1.პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია მზღვეველის შემდეგ ელ-ფოსტაზე: complaint@unison.ge ან მზღვეველის ცხელ ხაზზე შეტყობინების დატოვების გზით 0 32 2 991 991; 18.2.წინამდებარე პირობებში ნებისმიერი ცვლილება დამატება გათვალისწინებულია (დაზუსტებულია) სადაზღვევო პოლისში ან მხარეთა შორის გაფორმებულ შესაბამის შეთანხმებაში. მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვება ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;